შინაური საქმეები

№ 6.

კვირა, თებერვალი 7, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: სიტყვა; საეპარქიო სასწავლებელს პატრონი ეპოვრება—ხელისა; რა მნათობი გვყანან!—რამპოლლა; სიტყვა სამარადისო სიმართლისა—ლუკიანოვისა; კვირიდან კვირობამდე; სიტყვა თქმული ქ. ეპ. ეკლესიაში; ეპისკ. კირიონი და ოსტოროგოვი; სამღვდელოების ავ-კარგი; წერილი რედაქციის მიმართ.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სებურთალო—კაზაკოვის შესასვევში № 17) და თბილისში გამომცემლთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ₾ 50 კ.

— გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს. —

დაიბეჭდა

საბლალოჩინო ვედომოსტის

ბლანკები.

მსურველთ შეუძლიანთ მოიკითხონ

„ძმოგბის“ სტამბაში

ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩა კირიშჩევის სახლი.

სიტყვა

მაღალყოვლადუსამღვდელოესის ინოკენტის სამწყსოს მიმართ.

სალამს ვუძღვნი ივერიის ეკლესიას, ღვთისმშობლის სამღვთო ნაწილს, ანგელოსთა მშვიდობის სიტყვებით და ღვთის კაცთა მიმართ სათნოებით, რომელიც მათ უგალობეს ახლად შობილ მაცხოვარს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესი, რომელმაც მისცა თავი თვისი ცოდვათა ჩვენთათვის, განისვენებდეს ყოველთა ზედა ტაძართა და სავანეთა, ქალაქთა და სოფელთა, მწყემსთა და სამწყსოთა ივერიის ეკლესიისათა. ვდგევარ რა ამ უძველეს ტაძარში, რომელიც თავის სახელით მოგვაგონებს იმ სიონის ქორს, სადაც იყვნენ მოციქულები შეკრებილი, მე გონებით გადავდივარ მოციქულთა დროებში, როდესაც მაღლით დაჯილდოებულნი უცხო ენათაზედა მეტყველებით, იგინი გაიფანტენ მთელ ქვეყნიერებაზე, და კრძალულებით მოვიგონებ, ნეტარვყოფ და ვადიდებ წმ. მოციქულებს ანდრია პირველწოდებულს და სიმონ კანანელს, რომელთაც მოუტანეს სიტყვა სახარებისა კავკასიის მთების მკვიდრთ. თანა-

ბრად მათდა იყოს კურთხეულ თესლითი თესლამდე სახელი დედაკაცისა, მსახურისა სიტყვისა უფლისა, მოციქულთა მობაძავისა, დიდის ივერიის განმანათლებელის ნინოსი. სიდიადე მისი მოციქულებრივი მოღვაწეობისა კრძალულებით ავსებს ადამიანის გულს. ცრემლნი სულიერი სიხარულისა იფრქვევიან თვალთაგან, როცა ისმენ მოთხრობას შესახებ მისი მაცხოვარებითი შრომისა და ტანჯვა-წამებისა, რომელნიც მან მიიღო ქადაგებისათვის სახარებისა მკვიდრთა მიმართ საქართველოისათა. მაგონდება წინასწარმეტყველებრივი ლოცვა მეფის მირიანისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სრულდება შვილთა ზედა კავკასიისათა. „ღმერთო ნინოსაო! განფანტე სიბნელე წინაშე თვალთა ჩემთა და მე აღვიარებ და ვადიდებ სახელსა შენსა“; სიბნელე თანდისთან იფანტებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის და სხვა მხარეების მკვიდრთა თვალთა წინაშე ქრისტეს სიტყვის სხივ ქვეშ; თითქმის ყველა ტომნი მთისა და ვაკისა მზათ იყვნენ ექოთ და ედიდებიათ წმიდა სახელი უფლისა, რომ ამას წინ არ გადალობებოდა ბრძოლა ძველ ივერიის სამეფოისა თვითარსებობისათვის. თქვენ ჩემზე უფრო იცით ეს სამწუხარო სტრიქონები საქართველოს მეფეების განუწყვეტელი ომებისა ხან ოსმალეთთან და ხან სპარსეთთან თავის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. ამ ომთა და განხეთქილებათა შორის ბუნებრივ და თავის თავად გასაგებ მიზეზთა-გამო შეუძლებელი იყო თესვა და ზრდა ქრისტეს წმიდა სარწმუნოების თესლისა, რადგანაც იგი თავის ასაღორძინებლად მოითხოვს გულთა დამშვიდებულთა და არა ხმალთა ელერას და ომიანობის კიჟ-ნას. ისტორიის მაგალითები ამტკიცებენ, რომ ომიანობის საუკუნეებს თან მოსდევს სარწმუნოების დაცემა და ზნეობრივი გაველურება. ამიტომ საკვირველების ღირსია, რა ნაირათ შეინახა წმ მართლმადიდებელი სარწმუნოება ძველ ივერიაში ომიანობის ქარიშხალთა და უბედურებათა შორის, რომ არ დაიბურა, არ შესუსტდა, არ გაჰქრა. ვიგონებ რა ამ წარსულ დღეებს და ვიწვრთნები რა მათში, მწყემსურ გულის მოვალეობად ვიხდი კედელთა შორის ამა მხცოვანი ტაძრისა, განვლილ ომთა და გაჭირვებათა მოწამისა ქებით შევამკო ქართველი ხალხი მისთვის, რომ მან მოციქულთა დროიდან დაწყებული შეინახა, დაიცვა უვნებელად წმ. თესლი მართლმადიდებლობისა, გამოიტანა მამათა სარწმუნოება მძიმე ბრძოლათა საუკუნოების განმავლობაში მთელი და შეუშლელავი. და მხოლოდ რუს თვითმპყრობელთა სკიპტრას ქვეშ მშვიდობამა და მყუდროებამ გაანათა მთანი კავკასიისა და თანდისთან გაიკაფა გზა იმ ტომთა აულებში, რომლებსაც დაუსახელებია ისინი.

ეს მშვიდობა გვავალებს ჩვენც და თქვენც, მწყემსნო და მწყემსმთავარნო აღვიდგინოთ მეხსიერებაში წმ. ნინო ქართველთგანმანათლებელის მოღვაწეობანი, მტკიცეთ ჩავიდვათ იგინი გულში, რომ მივბაძოთ მას მოძღვრებითა და კეთილმორწმუნეობითი ცხოვრებითა. დღიდგან ამ მშვიდობიანობის დამყარებისა კავკასიაში, რომელიც მტკიცეთ არის დაცული რუს თვითმპყრობელი იმპერატორის ტახტით, მოციქულებრივი საქმე წმ. ნინოსი შესახებ ივერიის ეკლესიის მოწყობისა, უნდა შეიქმნეს ჩვენი საერთო ხვედრი. მაშ, დავისვათ მიზნათ წმიდა საღვთო საქმე, საქმე განათლებისა და გამოხსნისა კაცთა ნათლითა ქრისტეს ჭეშმარიტებისათა და ვქმნათ იგი მშვიდობით და სიყვარულით, შიშითა და მოკრძალებით. მაგრამ ჩვენი სამოციქულო შრომის კეთილწარმატებისათვის მტკიცედ შთავიბეჭდოთ სიტყვანი, რომელთა გარეშე ეს მოღვაწეობა არ მოიტანს ნაყოფს, გვახსოვდეს, რომ ქრისტეს ეკლესიაში დღიდგან სულიწმიდის გადმოსვლისა მოციქულთა ზედა, არ არის განყოფა ხალხებად და ტომებად, რადგან ყველანი ძენი არიან ღვთისა ქრისტე იესოს მიერ. არ დავივიწყოთ ის უსაცილო ჭეშმარიტება, რომ მაღალი და წმიდა მოციქულებრივი საქმე მოითხოვს ჩვენ მწყემსთაგან ერთსულოვნებას, ერთაზროვნებას, შფოთისა და განხეთქილების განშორებას. წმ. მოციქულმა სასტიკად განკიცხა განყოფა პავლესად,

აპოლონისად და კეფასად მიტომ, რომ არსად და არასოდეს არ გაყოფილა ქრისტე. ამიტომ ქართველიც, რუსიც, ბერძენიც და მეგრელიც—ყველა ძმანი არიან, ყველა ერთი არიან ქრისტეს მიერ. მოწოდებული ღვთის განგებით და სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის ხელმწიფე იმპერატორის ნებით წინამდგომელად ევერიის ეკლესიის კათედრისა, მე აღვიარებ საქვეყნოდ თქვენ ყველას წინაშე, რომ მზათა ვარ შევსწირო მთელი ჩემი ძალ-ღონე, ჩემი გონება და შრომა ევერიის ეკლესიის კეთილწყობილობას. ჩემთვის არ იქნება განრჩევა ქრისტეს აღმსარებელ ხალხთა შორის. გეტყვი თქვენ მოციქულის სიტყვით: „ვექმნები ყოველთა ყოველ: ურიათა თანა, ვითარცა ურია, რათა ურიანი შევიძინნე, უძლურთა თანა, ვითარცა უძლურ, რათა რომელიმე ვაცხოვნო. თქვენი სიკეთე ჩემი სიკეთეა, თქვენი მწუხარება ჩემი მწუხარებაა.

თქვენ, მწყემსნო და თანამოსამსახურენო, გთხოვთ და გევედრებით ეკრძალენით თავთა თქვენთა და სამწყსოსა, რომელშიდაც სულმან წმინდამამ დაგადგინათ მწყსად ეკლესიისა უფლისა ღვთისა, დამეხმაროთ მე სიტყვით და საქმით, მომეხმაროთ, გამამხნევოთ მე ჩემ შურში ევერიის ეკლესიის შვილთა კეთილისა და ცხოვრებისათვის. დავასრულებ ჩემ სიტყვას თქვენდამი მოციქულემრივი მოკითხვით: „აღორძინდით სარწმუნოებით, ინუგეშეთ ამით, იყვნენით თანხმობით და მშვიდობით—და ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა თქვენ ყოველთა თანა“.

„Тиф. Листокъ“.

საეპარქიო სასწავლებელს პატრონი ეპირვება.

იმერეთის ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი აღარ არი, რაც იყო. თავდაპირველად იგი სამკლასიანი იყო და განძრახული იყო ასეთი დარჩენილიყო სამუდამოთ, მაგრამ მალე თითქმის თავის თავად და ბუნებრივად გადაკეთდა ჯერ ექვსკლასიანათ და მერმე რვაკლასიანათ. მოსწავლეთა რიცხვმაც შესამჩნევათ იმატა და დღეს ეს სასწავლებელი თავის მოთხოვნილების სირთულით არაფრით არ ჩამოუვარდება ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს, ამიტომ რაც წინეთ მართვა-გამგეობა და პატრონობა ჰქონდა ამ სასწავულებს, ის დღეს აღარ კმარა. თუ უწინ სხვისი ზიარი ინსპექტორი ყოფნიდა, დღეს საკუთარი ეპირვება, თუ წინეთ ზიარი მასწავლებლები აკმაყოფილებდნენ, ეხლა საკუთარია საჭირო. ხოლო ასეთ შედგენილებას, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს არსებული ჯამაგირი. განსაკუთრებით საჭიროა დღეს სასწავლებლისათვის საკუთარი ინსპექტორი, რომელიც მთლად სასწავლებელს უნდა ეკუთვნოდეს და ბინადაც იქ უნდა ცხოვრობდეს, რომ განუწყვეტლივ ადევნოს თვალყური სასწავლებლის საქმეებს. სხვა არა იყოს რა, მარტო ამოდენა შენობას უნდა ერთი საკუთარი მმართველი.

ეპვი არ არის საკუთარ ინსპექტორს 150 მანეთის ჯამაგირით ვერ ვიშოვნით, რადგან დღეს ორი ამდენი ჯამაგირი უბრალო იატაკის მრეცხელ მოსამსახურესაც ვერ აკმაყოფილებს; ამიტომ საჭიროა რაიმე წყარო გამოვნახოთ და სასწავლებლისთვის საკუთარი ინსპექტორი უზრუნველვყოთ.

თუ ნამეტანს არ გავაძნელებთ საქმეს და მთავრობაც დაგვთანხმდება, ძვირათ არ დაგვიჯდება საკუთარი ინსპექტორი. ჩვენი აზრით არაფერს დააშავებს, რომ ინსპექტორად ვინმე სასწავლებლის საქმეში გამოცდილი სემინარიელი მღვდელი ჩავაყენოთ. ასეთი მღვდელის უზრუნველყოფა ადვილია და დიდი თანხის დამატება არ დაჭირდება სამღვდელოების მხრით. იგივე ინსპექტორი იქნება სასწავლებლის მღვდელიც, რაც თორმეტ სამღვთო სჯულის (ან სხვა საგნის) გაკვეთილთან 900 მ. ჯამაგირს შეუდგენს. ამას რომ 150 მანეთი არსებული საინსპექტორო ჯამაგირიც მივუმატოთ და 1500 მ. ჯამაგირათ შევა-

სრულოთ, სამღვდელოებას სულ რაღაც 450 მანეთის გამოღება დასჭირდება წელიწადში, რაც შტატზე შეადგენს თითქმის თითო მანეთს, ესევე მოთხოვნილება შეიძლება საკლასო გადასახადითაც დაკმაყოფილდეს. ამ ჯამაგირით სრული კმაყოფილი იქნება საშვალო განათლების მღვდელი, რომელსაც თუ საქმიანობის უნარი ექნა და საზოგადო საქმისათვის გულ-შემატკივრობა, ბევრ რამეს შესძენს სასწავლებელს. საჭიროა ამ საგანს ღრმად დაუფიქრდეს მომავალი მორიგი კრება.

ხელი.

რა მნათოგეგი გვყვანან!

ნეტა ჩვენ დედა ქალაქს თფილისსა!

შიდ-მრავალნი აკადემიელნი მოძღვარნი სუფევენ. აქ ღვთის მეტყველება უნდა ჰყვაოდეს: ქადაგება ტაძრებში განუწყვეტლივ უნდა ისმოდეს, რელიგიური საუბრები უნდა იმართებოდეს, საღვთისმეტყველო თხუზულებები უნდა იწერებოდეს, სასულიერო ჟურნალ-გაზეთები უნდა იცემოდეს, სიტყვითა და კალმით სარწმუნოების უარისმყოფელთა და ქრისტიანობის მგმობელთა უნდა ეომებოდენ. დიაღ, უნდა... უნდა .. გარნა სინამდვილე სხვას გვიჩვენებს. სამწუხაროა; ფრიად და ფრიად სატირალია! არსად ქადაგება, არსად საუბარი, არსად ჟურნალი; დადუმებულან, გაქვავებულან!

რასა შვრებიან მწყემსნი კეთილნი? ერთი მუდამ სახლში ზის; ფეხს აცვია სამი წინდა და სამი კალოში; გარედ ხალხში ვერ გადის, გაციების ეშინია; მუდამ წამლობაზე ფიქრობს; და აბა ამან რა უნდა გააკეთოს! მეორესა და მესამეს ზორბად უმუშავნიათ თორმეტ თორმეტი ადამიანი საზოგადოებისთვის შეუძენიათ; და რა თქმა უნდა მთელი მათი ძალღონე, ენერგია იხარჯება იმაზე, თუ როგორ დაუზარდონ სამშობლოს სახელოვანნი მამულისშვილნი, და სულ იმას სცდილობენ, თუ როგორ აგროვონ ფული, და იმისთვის თუ როგორ გამაგრდენ პოზიციებზე და აამონ მარჩენელ მთავრობასა; მეოთხე ხტის, ფაფხურობს, ხმაურობს, იმას, ეცემა, ამას ეძგერება, და ჰგონია, რომ წვრილმან წვრილმანობით ვითომც დიდ საქმეს აკეთებს; თანაც შფოთავს, რომ შკოლებში გაკვეთილებს არ აძლევენ, რათა ჯიბე გაისქელოს. მეხუთე სულ მთლად გაფილოსოფოსებულა და ენა მუცელში ჩაუგდია; ალბად ფიქრობს, რომ სულ ერთია, ქვეყანას ვერავინ გაასწორებს, და თავის შეწუხება არა ღირს, და ამიტომ ვიღიღინოთ: „ისევ და ისევ ჭამითა, დრო გავატაროთ ძღომითა!“ და იგი ფულის შესაძენად მიცვალებულებს ღებულობს და ფხიზლად ყარაულობს. მეექვსეს უფლის მიერ ნაბოძები ტალანტი მიწაში დაუმარხავს. და მართლაც, საიდან შეუძლია გამოიჩინოს და აამუშავოს თვისნი ნიჭნი, როცა არსებობისთვის იძულებულია დილიდან საღამომდე ბავშვებს ლოცვები აზეპირებინოს, მათ მიერ ნაჯღაბნი რვეულები ასწოროს და ხშირ-ხშირად იძახოს: ц (т) ише, ц (т) ише. მეშვიდეს.... მაგრამ კმარა. რა გამოვა ჩვენ რო აქ ვსწეროთ. რაც უნდა ვძრახოთ, მამანი სახიერნი თავისას არ მოიშლიან. მათი მუდმივი ფიქრი იქმნება: გულზე ორდენი, გვერდზე ენქერი, ქისაში ფული, კუჭი მაძღარი, მიშა რუსეთში დიპლომისათვის, კატია მდიდარ ქმარს ამა სოფლიურ ნეტარებისთვის, ხოლო ამ მიზანთა მისაღწევად არავითარი არაჩვეულებრივი მოქმედება საჭირო არ არის; მათ უნდა ჰქმნან ისა, რასაც ყველა მღვდლები, სემინარიელები და უჩილიშჩელები აკეთებენ, ე. ი. ასრულონ საეკკლესიო წესები, მიცვალებულებს წინ გაუძღვენ, ნათლისღებასა და აღდგომას მრევში კარ და კარ იარონ, გროშები ჯიბეში ჰყარონ და კიდევ შკოლებში ფილარეტის კეტეხიზმო აღეკვინონ

ოოოხ... სულ ძილი ძილი! უმოქმედობა! სამშობლოვ ტკბილო, როს გეღირსება შენ აღყვავება! როდის იხილავ შენთა მოძღვართა მოღვაწეობას, აღმაფრენასა!

რამპოლლა.

სიტყვა სამარადისო სიმართლისა.

(რუსულიდან).

ნამდვილი, სრული სამსახური სამშობლოსა და კაცობრიობისადმი არის მაშინ, როდესაც იგი არის სამსახური სამშობლოსა და კაცობრიობის მიერ უმაღლესის სიყვარულისა და სიწმიდის იდეალისადმი; ე. ი. მაშინ, როდესაც, ამ სამსახურს აქვს რელიგიზური ხასიათი, საფუძვლად აქვს რელიგიური შეხედულობა საზოგადოდ მთელი ქვეყნის, და კერძოდ, ადამიანის ცხოვრებაზე. უამისოდ-კი შეხედულობა ადამიანის ყველა საქმეზე და კითხვებზე ყოველთვის იქნება არა სრული, კუდ-მოჭრილი, და ყოველი ბოლო ადამიანის მოქმედებისა იქნება ტრაღიკული, მწარე შეგნებით, რომ ყოველივე ეს **არ არის ის, რაც უნდა ყოფილიყო,** არ არის ის, რაც გვაახლოვებს ჩვენ უკეთეს მომავალთან. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ითქვას, რომ კაცს თვით რელიგია უნდა ჰქონდეს შეგნებული სწორედ, სრულად, და არა კუდ-მოჭრილად.

ნამდვილი შეგნება რელიგიისა არის წარმოდგენილება ქვეყნიურ ცხოვრებაზე, როგორც საუკუნო კავშირზე ქვეყნისა და კაცისა ღმერთთან, თვით დაახლოვებულ და ცხოველ ურთი-ერთობაზე ქმნილებისა შემოქმედთან, სასიყვარულო და განუყრელ შეუღლაზე ადამიანის სულისა ღმერთთან. ყოველივე სხვანაირი შეხედულობა რელიგიაზე იქნება **გონჯი,** არა სრული.

ძველი ქვეყნის რელიგიები და აგრეთვე ველური ხალხების კერპთ-მსახურება არასოდეს არ ყოფილან რელიგიურ გრძნობას მოკლებულნი. პირიქით, რელიგიური გრძნობის მდგომარეობა წარმათების რელიგიებში ხშირად ადის გასაკვირვალ სიმაღლემდის. თუ რომ კაცი, რელიგიური აღძვრით გატაცებული, იყენებს თავის თავზე ყოველნაირ ქენჯნაწვალებას, მეტის აღტაცებით თავს იკლავს, ან რომელიმე კერპის, მოლოხის, პატივ-საცემლად მიაქვს მსხვერპლად და საშინელის ტანჯვით ცეცხლში სწვავს თავის საკუთარ შვილს, თავის ძვირფას და საყვარელ არსებას,—მაშასადამე, ცხადია, რომ ასეთი კაცი რელიგიას უცქერის ძალიან სერიოზულად და დიდი რელიგიური გრძნობით არის აღსავსე;—მაგრამ მთელი მისი უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს სწორე წარმოდგენა რელიგიაზე, მისი შეხედულობა რელიგიაზე არის ტლანქი, გლახაკი, ვიწრო, კუდ-მოჭრილი.

რელიგია არის ისეთი გრძნობა, განწყობილება, რომელიც შეიძლება ერთნაირად საპატიო იყოს წარმართშიაც, იუდელშიაც, მაჰმადიანშიაც და ქრისტიანშიაც; რელიგია არის გარდაკვეთილი ფორმა, რომელშიაც, ამა თუ იმ კაცს აქვს ჩამოსხმული თვისი რელიგიური გრძნობა; უკეთ,—ის ატმოსფერა, რომელშიაც სცხოვრობს, და ვითარდება მარცვალი კავშირისა და ურთიერთობისა ღმერთთან. ერთში, თანახმად მისი რელიგიის ვითარებისა, რელიგიური გრძნობა გამოცხადდება მკვლელობაში, მსხვერპლის შეწირვაში ღვთაების პატივსაცემად რომელიმე არსებისა—კაცისა ან პირუტყვისა; მეორე რელიგიურ გრძნობას აცხადებს თავის საკუთარი ქენჯნით; მესამე—ცხოველი სიყვარულით ყველა სულდგმულის მიმართ, ყველა ქმნილების მიმართ და სიყვარულის სამსახურით ღვთისა მიმართ სულითა და ჭეშმარიტებითა. ძალა, სიმაღლე და სიღრმე რელიგიური გრძნობისა ყველას ერთნაირი აქვს და ერთის ღირსებისა, მაგრამ განცხადება მათი სხვა და სხვა ნაირია და სხვა და სხვა ღირსებისა. ამიტომ დიდად შემცდარია ის აზრი, რომელსაც მიაჩნია, რომ ამა თუ იმ რელიგიის აღიარება მითომ განურჩევლად ერთი და იგივე იყვეს, რადგანაც ყველა რელიგიებს საგნათ აქვს ღმერთი, მოუწოდონ კაცს მისდა მსახურებად, სცდილობენ აღამაღლონ კაცი ღვთაებისადმი.

ჩვენ ყველას, შეიძლება, ბლომად გვქონდეს სიცოცხლის ენერგია; ეს ყველა ჩვენთვის ერთნაირად სასარგებლოა; მაგრამ გამოცხა-

დება ამ ენერგიისა ამა თუ იმ ფორმაში—ეს სრულებითაც არ არის ერთი და იგივე.

სოფლის უბრალო უსწავლელი ექიმიც, ფერშალიც, ნასწავლი მკურნალიც, შესანიშნავი მნათობიც მედიცინისა—ყველა ესენი სწამლობენ ავადმყოფს, ყველა ერთნაირად არის ‚ამხნევებული საქებურ სურვილით, რომ უშველოს პაციენტს, წამოაყენოს იგი ფეხზე, მისცეს ძალა, განამტკიცოს მისი ჯანმრთელობა; მაგრამ დიდ განსხვავებას ვაძლევთ მათ, ჩვენ ვამჯობინეთ ბოტკინსა და ზახარინს ბობროვს და ზახაროვს, ვოცნებობთ სოფლის უსწავლელი ექიმი შევცვალოთ უბრალო ფერშალზე მაინც, თუ ნასწავლ ექიმზე არა. ოთახში დიდი ხნის ყოფნის შენდეგ, ფანჯარას ვაღებთ და ჰაერს ვწმინდავთ. სეირნობის დროს, ჩვენ არა ვკმაყოფილდებით ქუჩის ჰაერით, ამას ჩვენ ვამჯობინებთ ბაღებს, ან ჭალებს და მინდვრებს ქალაქ გარეთ. ბოლოს, სააგარაკოთ, ზაფხულში დასასვენებლად, ჯანის გასამაგრებლად ჩვენთვის არ არის საკმარისი ქალაქის და მის გარეთ ჭალები; ჩვენ ვეძებთ უფრო სუფთა ჰაერს, მივდივართ სოფლის მინდვრების სივრცეზე, ზღვის ნაპირებზე, ავდივართ მთის წვეროებზე. ეგევე უნდა ითქვას რელიგიაზედაც. სხვა და სხვა რელიგიები გარე-მოიცვამენ ავადმყოფ კაცობრიობას სხვა და სხვა სულიერი ატმოსფერით, ხალხის ცხოვრების შეხშობილ და გაფუჭებულ ჰაერში შეაქვთ ახალი სუფთა ჰაერი სხვა და სხვანაირი სიწმინდისა, აძლევენ თავის მიმდევართ სხვა და სხვა მსოფლმხედველობას. ეჭვი არ არის, რომ ყოველ რელიგიაში, რაც უნდა ტლანქი იყვეს იგი, ყოველთვის არის მარცვალი ღვთის სიმართლისა, ნამცეცი უმაღლესი არა ქვეყნიური ჭეშმარიტებისა; მაგრამ ეჭვი არ არის აგრეთვე იმაშიაც, რომ თუ კაცს ანუ კაცობრიობას უნდა იპოვნოს სრული ჭეშმარიტება, უნდა იქონიოს უსათუოდ სწორე შეხედულობა მთელი ქვეყნის და კაცობრიობის ცხოვრებაზე, მაშინ მან უნდა მიმართოს ქრისტიანულ რელიგიას, შთაიბეჭდოს თავის გულში ყოვლად სრული სახე ღმერთ-კაცისა ეზიაროს ქრისტეს, გარდაჰქმნას იგი თავის ხორცად და სისხლად; არა კმარა მხოლოდ გონებით გაგება და შეთვისება, არამედ საჭიროა შეისისხლხორცოს იგი, სცხოვრობდეს და სუნთქავდეს იმითი, როგორც ჰაერით.

სახარება ცხადად და გარკვეულათ ამბობს:

„სასუფეველი ცათა ემზგავსება პურის ცომსა, რომელიც დედაკაცმა აიღო და ჩასდო ფქვილის სამ საწყაოში, მანამ მთლად არ გაფუვდა„ მაშასადამე, ქრისტე მაცხოვრის სიტყვა, სახარების მოძღვრება არის არა მხოლოდ საგანი სარწმუნოების შესწავლისა, არამედ ცხოვრების საფუძვლიანი დასაბამი, არის „გასაფუებელი“, ურომლისოთაც კაცობრიობას არ შეუძლიან აწევა, როგორც ცომს უსაფუვროთ. შეხედულობა ქრისტე მაცხოვრის მოძღვრებაზე, როგორც განყენებულ სარწმუნოებრივ სწავლაზე, ან ხელმძღვანელობაზე გარეგნულ ცხოვრების დისციპლინის შემუშავებისა არის შეხედულობა ვიწრო, ცალმხრივი, არა სრული.

მარტო წიგნში შესწავლა სარწმუნოებისა არ არის საკმარისი. საჭიროა კაცი გაიმსჭვალოს ქრისტეს მოძღვრებით, მიხვდეს მის ღრმა აზრს და გაატაროს იგი ცხოვრებაში. ამას არ სჩადის ნემცების აკადემიური საღვთისმეტყველო მეცნიერება, რომლის გავლენაც, სამწუხაროდ, ცოტათი თუ ბევრად, თითქოს ეტყობა ჩვენ ნასწავლ ღვთისმეტყველებსაც. იგი მეცნიერება ბევრ ტრაკტატებსა სწერს სახარებაზე, საზოგადოდ საღმრთო წერილზე, ხოლო მისი თვით საიდუმლო ცხოვრების აზრი ხელუხლებელი რჩება. ამიტომ არის, რომ მეცნიერული მსჯელობა თავის თავად რჩება, ცხოვრება-კი თავის-თავად მიდის. არავითარი გავლენა. წიგნის სიტყვას ძალა არა აქვს.

გამოდის რომ ადამიანები სხედან ავადმყოფის ლოგინთან დახშულ ჰაერში. ავადმყოფს სუნთქვა უჭირდება. იმას სჭირია სუფთა ჰაერი; ისინი-კი, იმის მაგივრად რომ ოთახში სუფთა ჰაერი შემოუშვან, ეძლევიან განყენებულ მსჯელობის ჰაერის შედგენილობაზე, მეცნიერულად ჰმარტავენ, თუ რა არის

კისლოროდი და რა არის აზოტი. ისინი ცხოველ ბუნებას ჰქმნიან გამხმარ მცენარეთა შეკრებილებად, და მაშვრალ კაცობრიობას, რომელსაც სული უგუბდება დახშულ ჰაერში, ნაცვლად ცოცხალი ყვავილებისა მარგებელი მყავბადით, აძლევენ მხოლოდ ბოტანიკის წიგნს.

სიტყვა ჭეშმარიტი რელიგიოზობისა უნდა იყვეს დამარწმუნებელი არა მხოლოდ გონებისა. იგი ყველაზე პირველად და მომეტებულად უნდა მოქმედებდეს გულზე, გავლენა ჰქონდეს ნებაზე, ცხოვრებაში გადიოდეს.

მეორე ცალმხრივი შეხედულობა რელიგიაზე არის ის, რომელიც უცქერის მას, როგორც ცხოვრების საფუძვლის ძალას, მაგრამ მის მოქმედებას სთვლის უმთავრეს გარეგნულად. ასეთია შეხედულება რელიგიაზე საშუალო საუკუნოების პაპებისა—რელიგია დიდი ინკვიზიტორისა. აქ რელიგია გარდაიქმნება გარეგნულ დისციპლინად.

ცხოვრებაში უნდა იყვეს დისციპლინა, და ქრისტე მაცხოვარმა მისცა ხალხს უმაღლესი დისციპლინა, მაგრამ ეს დისციპლინა არის სრულიად შინაგანი. იგია დაფუძნებული სასიყვარულო და თავისუფალ დამორჩილებაზე კაცის-მიერ თავის ნებისა უმაღლეს სიმართლის წინაშე. გარეგნულ ძალის დატანებას აქ ადგილი არა აქვს. პავლე მოციქული ამბობს, რომ კანონი (ე. ი. გარეგნული ძალის დატანება) არ არის დადებული მართლისათვის (ტიმოთ. 1, 9), რადგანაც მართალი კაცი თითონვე თავის თავისთვის კანონია, თითონვე აქვს ზნეობრივი მისაყრდნობი.

გამოცანა რელიგიისა იმაში მდგომარეობს, რომ მისცეს ხალხს ეს მისაყრდნობი, აღზარდოს მათში ზნეობრივი პირნათლობა, მისცეს მათ შინაგანი დისციპლინა. გამოცანა ჭეშმარიტის რელიგიისა არის ახსნა უმაღლესი იდეალის სიდიადისა და მისდამი დამორჩილება მთლად ადამიანისა, ცხოვრების ყველა სფერებისა.

მღვდ. ი. ლუკიანოვი.

სიტყვა,

თქმული დეკანოზის მ. ცაგარეიშვილის მიერ, ეპარქიალურ სასწავლებლის ტაძარში მასწავლებელ მელიტონ ჩოგავაძის ცხედრის წინ.

კეთილსა იქმოდე და მოიღო ქება მისგან (რომაელ. 13, 3).

საყვარელნო მეგობარნო! უბედურმა და მოულოდნელმა შემთხვევამ შეგვკრიბა ჩვენ ყველანი ამ წმინდა ადგილს. არ არის ქუთაისში ადამიანი, რომელიც არ გრძნობდეს მძიმე მწუხარებას მხედველი ამა კუბოსა და მასშინა მდებარე მიცვალებულისა. ადამიანი მოწიფული, ჯერ კიდევ ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე, რომელიც გუშინ ჩვენ შორის მოძრაობდა და მოქმედებდა ულმობელმა სიკვდილმა დღეს გულიდგან მოგვწყვიტა და ეგრძნობელათ განისვენებს ამ კუბოში. დიდი დასაკლისია ეს ჩვენთვის, ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება ისეც მეტათ ღარიბნი ვართ ასეთ ნასწავლ პირებით და ისეთნი პირნი, რომელნიც იყვნენ შემკულნი ისეთი ძვირფასი თვისებით, როგორიც იყო განსვენებული, თითქმის იშვიათნი არიან. სწორეთ ამ მაღალმა მისმა ღირსებამ გიმოიწვია ამდენ საზოგადოების თანაგრძნობა და სიყვარული მისდამი.

ვინ იყო განსვენებული მელიტონი? ის იყო ღარიბი ოჯახის შვილი, მხოლოდ შრომამ და ნიჭმა მისცა მას შეძლება წარმატებით გაევლო დაბალი და საშვალი შკოლა და დაემთავრებია სასულიერო აკადემია. სწავლის დამთავრების შემდეგ ის ბრუნდება თავის სამშობლოში და ხელს კიდებს მუშაობას. ხელობათ აიღო მასწავლებლობა და ამ თანამდებობით ის ემსახურებოდა ოჯახს, შკოლას და საზოგადოებას. ოჯახში მას ყავდა მოხუცი დედა, დები და ძმები, ყოველი თვისი საშვალება მან მოახმარა ამათ პატრონობას. ძმას ზდიდა შკოლაში და მაღალ სასწავლებლის უკანასკნელ კურსამდის მიიყვანა, შენატროდა მის კურსის დასრულებას, მაგრამ ეს ნატვრა მას ჩაყვა სამარეში. მელიტონი როგორც პედაგოგი თანდა-თანობას მიყვებოდა, ის დიდი

სასარგებლო იყო თავის სოფლისა და სოფლელებისათვის, მან ეცადა გაკეთებულიყო იმის სოფლის გზა, გაათავისუფლა თავისი სოფლელები უკანონო გარდასახადიდგან, დაუარსა შკოლა მათ და ყოველ წამს მზათ იყო ხელი შეეწყო გლეხებისთვის.

ასეთივე ნაყოფიერი იყო მისი შრომა შკოლაშიაც. მასწავლებლობა მან იწყო სასულიერო სემენარიაში, სადაც ის ასწავლიდა ქართულ ენას, მხოლოდ მის დახურვის შემდეგ ის დარჩა უადგილოთ და მიწვეულ იქმნა ამავე საგნის მასწავლებლათ სასულიერო სასწავლებელში და საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელში. უკანასკნელ ხანში ის იყო მიწვეული ქართულის მასწავლებლათ სავაჟო გიმნაზიაში და ინსპეკტორათ საეპარქიო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ნაცვლათ ქართული ენისა ის ასწავლიდა პედაგოგიკას, ლოგიკას და პსიხოლოგიას. როგორც ხედავთ ძლიერ პასუხის საგები თანამდებობები ქონდა განსვენებულს ჩაბარებული და ღირსეულათაც ასრულებდა ის მათ. მოგეხსენებათ რა ძნელია უფროსობა, განსაკუთრებით ახლანდელ დროში, მაგრამ განსვენებული, დაჯილდოებული იშვიათის თვისებებით, კარგათ უძღვებოდა მას, თუმცა ამ შრომისთვის ის ძლიერ მცირე სასყიდელს იღებდა, 150 მ. წელიწადში. მას დიდი შრომა მიუძღვის ამ სასწავლებელში ორ მაღალ კლასის დაარსებაში და შენობის გაფართოებაში.

მან ორი თვეა რაც ავათმყოფობა იწყო. ყველა ურჩევდა რომ დაესვენებია, მაგრამ უჩვეევი დასვენებას, ავათმყოფობაშიაც არ ისვენებს, ეშინოდა უმისოთ რომ საქმე შეფერხებულიყო და ავათმყოფი სამსახურს არ შორდებოდა, მან ფეხზედ სამსახურში დალია სული. აი თავდადებული მუშაკი!

როგორც მასწავლებელი ის იყო ფრიად განვითარებული ღა გამოცდილი. გარდა ქართული ენისა და ისტორიისა, რომელნიც მას ქონდა ზედ-მიწევნით შესწავლული, ის საკმაოდ განვითარებული იყო მრავალ სხვა საგნებშიაც. არ არის შკოლა ქუთაისში, სადაც განსვენებული არ ყოფილიყოს მასწავლებლათ სხვადასხვა საგნებისა. სწავლების დროს ის იზიდავდა შეგირდების გულს ცოცხალ და შეგნებულ სწავლებით და შეგირდებსაც სთხოვდა, რომ მათ ქონოდათ განვითარება და ნამდვილი ცოდნა და შეგნება საგნისა. ის არ გავდა იმ მასწავლებელთ, რომელთაც თავისი საგანი აქვთ მოთავსებული ვიწრო ფარგალში და მასში ტრიალობენ ციბრუტივით, ამათ ის ჩონჩხის მასწავლებლათ უწოდებდა. ის იყო ხორცის შემსხმელი და სულის ჩამდგმელი საგნისა, მის ხელში თქვენ ჯოხს ვერ დაინახავდით, მისი ყავარჯენი და კვერთხი იყო წიგნი, ხელში ის ატარებდა ახალ-ახალ წიგნებს და თვალ-ყურის მგდებელი თანამედროვე ცხოვრებისა და მეცნიერების, ახალ-ახალ ცოდნით შედიოდა კლასში და ახალისებდა მით შეგირდებს.

არა ნაკლებ ამისა შრომობდა ის საზოგადოებისთვის, ყოველს დაწესებულებაში ის იღებდა მხურვალე მონაწილეობას, მუშაობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ეს იცოდა მხოლოდ რაოდენიმე მისმა მახლობელ მეგობრებმა. აი წყნარი მუშაკი!

მელიტონი იყო შემკული შინაგან თვისებებითაც. ის იყო მეტათ გულ-კეთილი, პირდაპირი, გულწრფელი, უბრალო და თავდაბალი, მუდამ ერთი და არა ორი, ერთ სკამზედ და არა ორ სკამზედ მჯდომი, შეურყეველ მიმართულების, რწმენის და სარწმუნოების მექონი; არ უყვარდა კარ-ჩაკეტილობა, სულ მუშაობაში გაკრული, მოძებნიდა ცოტა დროს რომ ნაცნობებში გაჩენილიყო, მუდამ მზათ იყო სხვისთვის თავი გაეცნო და სხვებიც თვითონ გაეცნო, რასაც ამტკიცებს ამდენი აქ შეყრილი საზოგადოება. ის იყო ნამდვილი ქართველიც. მას უყვარდა სტუმრის მიპატიჟება და პატივის ცემა, ვინ არ დამტკბარა მის პურ-ღვინით მის ოჯახში, ბანოჯაში, მაგრამ აქ შევჩერდები. დაე, მისი ძვირფასი თვისებანი უფრო მტკიცეთ აღიბეჭდოს მსხვილი ასოებით მის პატივისმცემელთა გულში. მიბოძე ძვირფასო მეგობარო და შეუდარებელო თანამშრომელო მოგმართო პირადათ მაპატიე, მე ჩემი სუსტი სიტყვით დავა-

მახინჯე შენი ძვირფასი თვისებანი, მაგრამ არის ამის მიზეზი. დარწმუნდი ჩემმ გრძნობამ წაასწრო ჩემს სიტყვებს; მეც, როგორც სხვები, დიდათ დაღონებული ვარ შენი დაკარგვით; შენში ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო წევრი ოჯახისა, შკოლისა და საზოგადოების, ძვირფასი და დაუფასებელი ძმა და მეგობარი. ობლათ ვთვლი თავს და სასწავლებელს დაცარიელებულს უშენოთ, მაგრამ ერთი უნდა გვქონდეს ყველას სანუგეშოთ: უფალმა ამ მოკლე ხანში შენ მოგახვეჭია დიდი სიკეთე და საუნჯე, მიგიღებია სიყვარული და პატივისცემა ამ ურიცხვ საზოგადოებისა, ეს არის მტკიცე საბუთი შენი უკვდავებისა, ამისთანა სიკვდილი სასახელოა, უფალმან გამუშავა უხვად და დღეს მოგანიჭა განსვენება. „განგებასა ვერ ვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქნების“, ამბობს პოეტი. ამით უნდა ინუგეშოს რაოდენიმეთ მაინც თავი შენმა დედამ, დებმა და ძმებმაც და დანარჩენში მათი ნუგეში იქნება ის, ვისთვისაც ყოველივე შეუძლებელიც შესაძლებელია. მშვიდობით უანგარო მუშაკო, იყავი ნათელი ამ ქვეყნათ, უფალმა ნაცვლათ საიქიოს მოგანიჭოს ნათელი და ნეტარება და სანატრელსა შინა დაძინებასა საუკუნო განსვენება.

დეკ. მ. ცაგარელი.

ეპისკ. კირიონი
და ვოსტორგოვი.

„რანნეე უტრო“-ში დაბეჭდილია:

„ეს ორი თვეა, რაც პეტერბურგში სცხოვრობს ეპისკოპოსი კირიონი. ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ერთი უკეთესი დამცველთაგანია. ზოგიერთ პირების ცილის წამების გმმო ეპისკოპოს კირიონს კათედრა და პენსია წაართვეს და ტამბოვის გუბერნიის ერთ მიყრუებულ მონასტერში გაჰგზავნეს.

როგორც გამოირკვა და ეპისკოპოს კირიონს ამის საბუთებიცა აქვს, კირიონის წინააღმდეგ უმოქმედნია დეკანოზ ვოსტორგოვს. ეპისკოპოსმა უკვე მიმართა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორს, სამართალში მიეცეს დეკანოზი ვოსტორგოვი ცილის წამებისათვისო.

უკანასკნელ დროს სინოდი, ცოტა არ იყოს, მოწყალების თვალით უყურებს კირიონს. კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ დაშკოვის სამართლიანმა მოხსენებამ გამოააშკარავა, რომ კირიონი უბრალოა და უსამართლოდ იტანჯებოდა.

ეხლა კირიონს წირვა-ლოცვის ასასრულებლადაც კი იწვევენ. მაგალითად 24 იანვარს მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სამიტროპოლიტოს ქორ-ეპისკოგოსის ვენიამინის კურთხევაში.

ხმა დადის, ეპისკოპოს კირიონს მოკლე ხანში კათედრას მისცემენო.

ვოსტორგოვის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსაც მსვლელობა მიეცა. ვექილებად კირიონს მოწვეული ჰყავს სახელმწიფო სათათბიროს წევრი მაკლაკოვი და სხვა გამოჩენილი იურისტები. ეპისკოპოსმა კირიონმა სასამართლოს მოხელეებს განუცხადა, ვოსტორგოვის დასჯა კი არ მინდა, არამედ სიმართლის აღდგენაო.

გაზ. „დროება“.

---

31 იანვარს უდროოთ გარდაიცვალა ქუთაისის საეპარქიო საქალებო სასწასლებლის ინსპექტორი **მელიტონ იესეს ძე ჩოგავაძე.** განსვენებული თურმე ერთი თვე ავათ იყო და სამსახური არ დაუგდია. მელიტონ ჩოგავაძე ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცი იყო და ბევრ იმედებს იძლეოდა. რა იყო იგი ჩვენი საქალებო სასწავლებლისათვის, ყველამ კარგად იცის.

მან დაარსა მეშვიდე და მერვე კლასები სასწავლებელში და გაადიდა სასწავლებლის შენობა. განსვენებული არ იყო უზრუნველყოფილი ჯამაგირით საქალაქო სასწავლებლიგდან და ამიტომ იძულებული იყო გარეშე სამსახური ეტვირთნა. იგი ქართულ ენის გამოცდილი მასწავლებელი იყო, რაც დღეს ჩვენში იშვიათ მოვლენას შეადგენს, და ასწავლიდა ამ საგანს შესაფერი გულმოდგინებით სასულიერო სასწავლებელში და კლასიკურ გიმნაზიის უფროს კლასებში.

სამღვდელოების ავ-კარგი.

(დასასრული).

წერილი მესამე.

სამოციანი წლები XIX საუკუნისა ცნობილია ჩვენს ისტორიაში ლიბერალურ ხანად, რომელსაც სათავეში უდგენ ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ჩვენ დიდებულ მღვდელმთავარს, ნეტარ ხსენებულ გაბრიელს, რომლის მჭუხარე ქადაგებამ და მართლ-მკვეთებლობამ იმერეთის სამწყსო გამოაცოცხლა და განახლების გზაზე დააყენა. ამ მხრით ფრიად დიდია გაბრიელის ღვაწლი და მას ღირსეულადაც დააფასებს მომავალი ისტორიკოსი. ჩვენს სუსტ კალამს კი არ ძალუძს საკმაოდ გაარკვიოს მისი დიდებული გავლენა მაშინდელ ცხოვრებაზე. მხოლოდ არ შეგვიძლია გაკვრით მაინც არ შევეხოთ მის მოღვაწეობას და არ აღვნიშნოთ ამ მოღვაწეობის ცხოველმყოფელობა ერსა და სამღვდელოებაზე.

ბატონყმობის დამსხვრევა რუსეთში და გაბრიელის შემოსვლა იმერეთში ერთსა და იმავე დროს მოხდა, ასე რომ როცა ამ შესანიშნავი აქტის გავლენაზე ვლაპარაკობთ ჩვენში, მაშინ გაბრიელის გავლენაც უნდა მოვიხსენიოთ უეჭველად. ერთის სიკეთე მეორის სიკეთესაც გულისხმობს. მოიშალა ბატონ-ყმობა და ყველაფერს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო. საზოგადოება აღფრთოვანდა და ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა. ყველას თვალწინ ეხატებოდა უკეთესი ცხოვრება, მაგრამ იგი არსად იყო. იმედი იმედად დარჩა და ოზნაური, გლეხი და მღვდელიც მოტყუებული შეიქნა. ამის მიზეზი ის იყო, რომ არც ერთს არაფერი ჰკითხეს, თუ რა უჯობდათ და როგორ უნდა მოეწყოთ თავის ცხოვრება. ბატონ-ყმობის მოშლა მთავრობამ დაიწყო თავის მეთაურობით, მან შეასრულა და მანვე მოაწყო თავის გემოზე, აქ ხალხს ცოტა რამ ჰკითხეს, მხოლოდ იმედი ჩაუსახეს გულში და ისევ მალე ამოსდეს ლაგამი, რომ ერთბაშად თავში არ გაეწია. სადავე ისევ მთავრობას ეჭირა მაგრად ხელში. ეს ერთგვარი მაშინდელი პოლიტიკა იყო. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მისი სიკეთე ექვს გარეშეა; მისი ნაპერწკლები სამღვდელოების ცხოვრებასაც მოხვდა და იგიც გამოფხიზლდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ გამოაფხიზლეს და ეს გამოფხიზლება ისევ მთავრობამ იკისრა. ამ ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა ზრუნავს გაღატაკებულ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სასულიერო წოდების განათლებაზე. ერთიცა და მეორეც გულსაკლავ მდგომარეობაში იყო მანამდი და ვის არ აუტოკებდა გულს?! მაშინდელი მღვდლების უვიცობა დღეს ზღაპრად მოეჩვენება კაცს. ყველამ ვიცით, რომ იმ დროის მღვდლები ნახევარზე მეტი სრულიად უცოდინარი იყო: არც წერა-კითხვა იცოდენ და არც სამღვთო მსახურების გაეგებოდათ რაიმე; ზოგმა კითხვა იცოდა, ხოლო წერა კი არა. ზოგიერთს მარტო თავის სახელისა და გვარის მოწერა ძლივს ეხერხებოდა. თუ ასეთი იყო მღვდელი, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა მედავითნე?! მაგრამ სად იყო იგი? უმეტეს შემთხვევაში, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, მედავითნის ხსენებაც არ იყო ბევრ სამრევლოში და მღვდელი მარტო წირავდა. ამ გვარი სამღვდელოება, რა თქმა უნდა, ვერაფერ ხეირს მოუტანდა ხალხს და არც მთავრობისათვის იყო გამოსადეგი. რუსეთის მთავრობას შემოსვლიდანვე თავისი მიზნები ჰქონდა და აქვს და ამ მიზნების ასრულებას ხელს უშლიდა

უცოდინარი სამღვდელოება და დიდი ხნით აბრკოლებდა „რუსული საქმის“ ფეხის მოკიდებას და წელში გამართვას. მისთვის აუცილებლად საჭირო იყო მის გემოზე გაწვრთნილი, რუსულად გაბრძნობილი სამღვდელოება, რათა მისი მეოხებით უფრო ადვილად გაევრცელებინა ჩვენში თავისი გავლენა. ამისათვის სასულიერო წოდების შვილების განათლებაზე ზრუნვას მთავრობა ცოტა ადრე შეუდგა. ამ მიზნით პირველად ქუთაისში და თფილისში დაარსა სასულიერო სასწავლებლები, უკანასკნელში სემინარიაც, ხოლო შემდეგ ამ გვარი სასწავლებლები დაარსდენ სხვაგანაც.

საყურადღებოა, რომ ამ სასწავლებლებმა პირველად სამღვდელოების გული ვერ მიიზიდა. არ ვიცი სიღარიბე უშლიდა ხელს და არ ვიცი სხვა რამ საფრთხეს ხედავდა ქართველის ჯერ კიდევ შეუშფოთებელი გული და სული. იგი ისევ ძველებურად მონასტრებში ეძებდა საჭირო სწავლას. ამიტომ საჭირო შეიქნა მიემართა მთავრობას სხვა და სხვა ზომებისათვის, რათა მოწაფეები მიეზიდა ახლად დაარსებულ სასწავლებლებში. უტყუარი ფაქტია, რომპირდაპირ უბძანებდენ სამღვდელოების შვილების გამოზდას სასწავლებლებში. ხან და ხან აიძულებენ კიდეც სასჯელის შიშით. თუ კი მივიდოდა ვინმე, უარს არავინ ეტყოდა. ყველასათვის დია იყო სასწავლებლის კარები, რაც უნდა წლოვანი ყოფილიყო. წერა კითხვის ცოდნას ახლანდელივით ხომ სულ არავინ თხოვდა. ხშირად შესანახავ ხარჯისაგანაც ათავისუფლებდენ მშობლებს, ხოლო სწავლის შემდეგ საპატიო ადგილებს აძლევდენ და სამსახურში აწინაურებდენ. ამან იმოქმედა სამღვდელოებაზე. იგი წახალისდა და დაეწაფა სწავლას მისი გემო ეტკბილა, მაგრამ ამ სიტკბოებაში ძირშწარეც ერია, ხოლო იგი ამას ვერ ხედავდა. მაშინ არავინ იყო მთქმელი: „მაგ ეკალში ნუ ვარდები, ნუ გგონია მანდ ია და ვარდები“ ო.

და აი, როცა მთავრობამ დაინახა, რომ ხერხმა გასჭრა, სამღვდელოებამ იგემა სწავლის ფასი, მან ოსტატურად უკან დაიხია სასწავლებლების შენახვა სანღვდელოებას მოახვია თავზე. უფროსობა და სარგებლობა კი თვითონ დაიტოვა და ბძანებლობა დაიწყო. სამღვდელოებას უბძანებს, რომ სასწავლებელი შენი ხარჯით შეინახე, ხოლო ჩვენ სწავლებას არ დაგამადლით და „კაცად გამოგიყვანთო“. მაგრამ რა სასწავლებლის შენახვა შეეძლო გაღატაკებულ სამღვდელოებას? როგორც წინა წერილშიდაც აღვნიშნეთ და ზევითაც მოგახსენებთ, სამღვდელოება სულს ძლივს იბრუნებდა თავის შრომით და სასწავლებლეს რითღა შეინახავდა!? აქ ისევ მთავრობა ჩაერია საქმეში და მოინდომა, რომ სამღვდელოება უზრუნველ ეყო ნივთიერად და ამით გაღონიერებულ სამღვდელოებისათვის შეეწერა სასწავლებელის ხარჯები. ამ მიზნისათვის დაარსდა კომისია, რომელსაც მიენდო მინგრეულ-მონგრეული სამრევლოებისა და ეკკლესიების ცნობაში მოყვანა. კომისიაში იყვნენ ტფილისის სიონის კათედრის მღვდელი გრიგოლ ცამციევი და ქუთაისის კათედრის დეკანოზი გიორგი გამრეკელოვი, რომელთაც შემოიარეს მთელი იმერეთის ეპარქია 1859 წელს (სხვა ეპარქიების აწერა როდის მოხდა და ან ვინ იყვენ კომისიაში, ჩვენ არ ვიცით), ასწერეს სამრევლოები და ეკკლესიები და აღნიშნეს მათზე არსებული კრებულნი. ერთსაცა და მეორესაც ჩამოერთვათ მთავრობის სახელით ხელშეკრულებანი. სამრევლოებს ამით ევალებოდათ თავისი მღვდელ-დიაკვნის რჩენა შენახვა, ხოლო სამღვდელოებას თვისი მოვალეობის პირნათლად აღსრულება, სხვა და სხვა საბუთების და წიგნების წარმოება „გარდუხდომელად ფორმისა“, თავის დროზე მათი წარდგენა მთავრობისათვის „შიშსა ქვეშე მკაცრისა გარდახდევინებისა კანონთამებრ დაუდევნელობისათვის“. ამასთანავე კრებული უნდა ყოფილიყო „ყოვლითურთ განკრძალულ და კეთილის მაგალითის მაჩვენებელ მრევლთა“. ხოლო სამრევლოების მიცემულ ხელ შეკრულებაში ვკითხულობთ: „ჩვენ თვითეულად კომლმან უსათუოდ უნდა ვაძლიოთ სამღვდელო მსახურთ ხორაგათ: სამი ბათმანი სიმინდი, ერთი ბათმანი ღომი ანუ პური (რომელიც მოიხერხოს) საზოგადო სოფლის ბათმნით,

ერთი ჩაფი შუმი ტკბილი ანუ ღვინო საზოგადო სოფლის ჩაფით; ერთი ურემი შეშა, ათი კონა ჩალა, თითო კარგი ქათამი, ერთი ოყა მარილი და ერთი ოყა ლობიო. ხოლო ფულად: მიცვალებულზე შეძლებულმა ერთი თუმანი (საორმოცო კიდევ სხვა იყო), საშუალომ ექვსი მანეთი და ღარიბმა ოთხი მანეთი; ჯვარსაწერად შეძლებულმა სამი მანეთი, საშუალომ ორი, ხოლო ღარიბმა ერთი მანეთი. ამას გარდა ზოგ სხვა მღვდელ მოქმედებისათვისაც იყო დაწესებული განსაზღვრული ნიხრი, ხოლო ზოგი წესისათვის საკუთარი სურვილისამებრ, თავისი ნამუსით და სინიდისით, რაც ენებებოდა, იმას მისცემდა. ამას გარდა სამრევლოებს ჩამოართვეს პირობა, რომ ეზრუნათ ეკკლესიების გამშვენებისათვის შესამოსლითა და დაეწესებიათ კეთილ საიმედო პირნი სტაროსტებად „დაცვისათვის ყოვლისა ეკკლესიისა საკუთრებისა და სისუფთავისათვის შიგნით და გარეთ“. ეს ხელშეკრულებანი წარედგინა უმაღლეს მთავრობას და დამტკიცებულ იქმნა. ამ ნაირად გაჩნდა ჩვენში ესრედ წოდებული შტატების წყობილება და ებძანა, ორივე მხარეს მტკიცედ დაეცვათ პირობები, ხოლო ძველი ჩვეულება მოეშალათ. აი ასეთი წესი იყო სამღვდელოების რჩენისა იმერეთში მესამოცე წლებში და, ერთი შეხედვით, ხედვით, გვარიანი შემოსავალი იყო. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ მაშინდელ ხორაგეულობის ფასობას და იმ დავიდარაბას, რაც თან დევდა ამ შემოსავლის აკრებას, მაშინ დავრწმუნდებით, რომ „ჩიტი ბდღვნად“ არ აღირდა. იმ დროს ჩვენში ნამუშევარი თავზე საყრელი იყო და ღვინო ხელსაბანად. დღესაც ბევრია იმის მომსწრე, რომ მაშინ საპანე ღვინო (12 ჩაფი) ორი მანეთის მეტი არა ღირდა და ისიც იმისთან ღვინოა, რომ მოლს მოსწვავდა. ამ გვარ პირობებში, რასაკვირველია, მღვდლის რჩენაც არ იქნებოდა გასაჭირი, მაგრამ უბედურება ამ ხორაგის მოგროვება იყო. მუდამ შფოთი, მუდამ უსიამოვნება ამ ნიადაგზე გამოულეველი იყო მღვდელსა და მრევლს შუა. მღვდელი და ერი ერთი მეორეს გადაეკიდენ და რომ ისევ მთავრობა არ ჩარეოდა საქმეში, განხეთქილება უფრო გაღრმავდებოდა, ვიდრე დღეს არის მათ შორის. ამ წესით სამღვდელოების რჩენის მოშლას ხელი შეუწყო იმ ხანად ჩვენში კაპიტალიზმის გაჩენამ, რომელიც ბატონყმობის გაუქმებისთანავე შემოიპარა ჩვენში. ცხოვრება თანდათან გაძვირდა და ყველაფერში საჭირო შეიქნა ფული და მხოლოდ ფული. ამისათვის მალე მღვდლის რჩენაც ფულზე გადაიტანეს. 1873 წელში გამოდის ახალი განკარგულება, რომლის ძალით ხორაგის მაგიერად მღვდელს უნდა მისცემოდა დრამაში ორი მანეთი ფულად თითეულს კომლზე. წესების ასრულბეისათვის წინანდელი ნიხრი რჩებოდა თითქმის. ამ ორი მანეთის შემოღებას იმერეთში ხელი შეუწყო გაბრიელ ეპისკოპოზმა, რადგან მას კარგად ესმოდა მაშინდელი დროის ვითარება და სამღვდელოებისათვის საუნჯობესოდ მიაჩნდა ამ წესით სარგებლობა. დრამის შეკრება ისევ სოფლის მოხელეებს დაავალეს. აი აქედან იწყება სამღვდელოების დრამის „ორი მანეთი“ს ისტორია და იგი ისე ცნობილია ყველასთვის, რომ მასზე ლაპარაკი თუმცა მეტად მიგვაჩნია დღეს, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ.

წინადაც, როცა დრამა ხორაგით იყო, და შემდეგ, როცა განსაზღვრული ორი მანეთი დაწესდა, ყოველი კომლი ვალდებული იყო ეძლია კრებულისათვის, თავადი იქნებოდა იგი, თუ გლეხი. ხშირად თავად-აზნაური დაწესებულზე მეტსაც იხდიდა თავის ნებით მღვდლის სასარგებლოდ; აზნაურული სიამაყე ნებას არ აძლევდა გლეხების ტოლად ეხადა მღვდლის სარჩო. კრებულიც კმაყოფილი იყო ამით და თავად-აზნაურს მუდამ ემადლიერებოდა, მის წყენას გუნებაშიდაც კი არ გაივლებდა. დღეს გარემოება შეიცვალა. მეტი წილი სოფლის თავად-აზნაურობისა გაღატაკდა. მამულები შემოებნა და თვითონაც ძლივს იბრუნებს სულს, რამდენი სილარიბე შემოაწვა გულზე, იმდენად უფრო გაუკადრისდა და გლეხთან ერთად აღარ ინება მღვდლის რჩენა. დღეს იგი თითქმის არაფერს იხდის

მღვდლის სასარგებლოდ, თვინიერ წესების ასრულებისათვის. წინედ თუ გლეხს ეჯიბრებოდა გულ-უხვობაში, დღეს მაგიერად სიძუნწეში სჯარბობს მას და მას არც მთავრობა აქცევს ყურადღებას და არც თვითონ სამღვდელოება. იგი შეპყრობილია რაღაცნაირი მოკრძალებით თავად-აზნაურობის წინაშე და ხმას არ იღებს მაშინ, როდესაც იმერეთში ზოგი სამრევლო თითქმის სანახევროდ თავადაზნაურობისაგან შესდგება. გლეხებს ტყავს აძრობენ, ძალად ახდევინებენ დრამას, ამავე დროს თავად-აზნაური კი განზე სდგას და სეირს უყურებს, თითქოს იგი სხვა სარწმუნოებისა იყოს და მღვდლის რჩენა მას სრულიად არ შეეხებოდეს. აი ეს გარემოება საგულისხმოა სამღვდელოებისთვის და ამ საგანზე ხმა უნდა ამოიღოს მომავალ კრებაზე. ყველა ვართ იმის მოწმე, რომ ამ უთანასწორობამ ბევრგან სოფლებში დაბადა არეულობა განვლილ წლებში და მხოლოდ ამის მიზეზით ზოგან მღვდელს სრულიად მოუსპეს დრამის მიცემა გლეხებმაც. მათი მსჯელობა ამ შემთხვევაში სამართლიანი იყო, მაგრამ ვინ არის გამგონე!? გლეხებს თუ არ გაუგონეს და არ შეუსმინეს, სამღვდელოების ხმას უეჭველად მიაქცევს მთავრობა ყურადღებას, თუ კი იგი საბუთიანად გაახსენებს მას ამ გარემოებას. მხოლოდ გაახსენებს, რადგან გადაწყვეტილება დიდი ხანია არსებობს იმის შესახებ, რომ სამღვდელოების შენახვაში სამრევლოების ყოველმა მცხოვრებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუ კი იგი მართლმადიდებელ სარწმუნოებას ეკუთვნის, გლეხი იქნება იგი, თუ აზნაური, სულ ერთია.

ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ დრამის ფულად შემოღებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომლის ძალით სამღვდელოებას ეკისრებოდა სასულიერო სასწავლებლების შენახვა. და რით შეენახა სასწავლებლები, თუ მის ხელში ფული არ იქმნებოდა, ან და მთავრობას არ ექნებოდა უტყუარი ცნობა ყოველი მღვდლის შემოსავალზე და ეს შემოსავალი საიმედო არ იქნებოდა. მართლაც დაინახეს მღვდლის ხელში ფული, თუ არა, მამინვე დაადვეს გადასახადი კომლზე 25 კ., რომელსაც ხმის ამოუღებლად იხდიდა სამღვდელოება ამ ბოლო წლებამდი, სანამ ზურგი არ შეაქცია სასულიერო სასწავლებელს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

Fanius.

კვირიდან კვირამდე.

ვოსტორგოვის წასვლის შემდეგ საეკლესიო საოლქო სკოლების მეთვალყურის თანამდებობას დროებით ასრულებდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სკოლების საეპარქიო მეთვალყურე პ. ი ოდოევი.—ეხლა კი უწმიდეს სინოდს საოლქო მეთვალყურედ დაუნიშნავს ვილნოს ეპარქიის სკოლების საეპარქიო მეთვალყურე მღვდელი პაშკევიჩი დეკანოზობის ხარისხზე აღყვანით. ეს მამა პაშკევიჩი, სხვათა შორის, ცნობილია მითი, რომ წელს ვილნოს ეპარქიის მთელმა სამღვდელოებამ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად.

—

სასინოდო კანტორამ განკარგულება მოახდინა, თანახმად სინოდის ბრძანებისა, რომ საეკლესიო და სასულიერო სასწავლებელთა უფროსებმა თვალყური ადევნონ, რათა ამ სკოლების წიგნთსაცავებში არ იქმნას შეტანილი ტოლსტოის ახალი წიგნი—„სახარების ისტორია ბავშვთათვის მოთხრობილი".

—

ქართლის—ეპარქიის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის ადგილზე, რომელიც თავისუფალია ამბროსი ხელაიას გადაყვანის შემდეგ, ინიშნება სმოლენსკის სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი ანტონი (ალექსი გიორგაძე).

—

განსვენებული მელიტონ ჩოგოვაძის ცხედრის წინ ოცდა ათამდე სიტყვა წარმოითქვა სხვა და სხვა პირთაგან და სასწავლებელთა წარმომადგენელთაგან; ყველას პირიდგან ერთი

და იგივე ისმოდა, რომ განსვენებული იყო პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი, თავდადებული და საგნის მცოდნე მასწავლებელი, დაუღალავი და ბეჯითი მუშაკი, შეუდარებელი და სწორუპოვარი ამხანაგი და უფროსი, ოჯახისა და თავის სამშობლო სოფლის თავდავიწყებული მოსამსახურე და ამას ყველაფერს ამტკიცებდა არა მარტო გვირგვინები, რომლებსაც, სიტყვაზე ვსთქვათ, ფასი დაეკარგა ამ ბოლო დროს თავის უადგილო ხმარებისა გამო, არამედ ის ცრემლის ზღვაც, რომელიც უხვად ალტობდა განსვენებულის ცხედარს. აკაკის სიტყვით განსვენებული მელიტონ ჩოგოვაძე იყო ერთი იმ საზოგადო მოღვაწეთაგანი, რომლებიც არ ეჩხირებიან ადამიანის თვალში, მაგრამ რომლებიც აკეთებენ საზოგადო საქმეს ჩუმათ, მაგრამ მკვიდრად და მეთოდიურად.

განსვნნეეულის ცხედარს დიდძალი ხალხი გაჰყვა ქალაქის მიჯნამდის, საიდგანაც მიცვალებული გაასვენეს სოფლელებმა ს. ბანოჯაში. ცხედარს ქუთაისიდგან სოფელ ბანოჯამდის გაჰყვნენ მიცვალებულის ახლო ნაცნობნი და მეგობარნი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

თქვენს გაზეთ „შინაურ საქმეები“-ს პირველ ნომერში ამა 1910 წლისა მოთავსებულია წერილი ვინმე „რამპოლა“-სი ამ სათაურით: „ჩვენს საქმეს ჩვენვე ვაფუჭებთ, სხვებს ნუ ვაბრალებთ“. ამ წერილში, როგორც მე გავიგე, ამტყუნებს სამღვდელოებას, რომ მოსპობის გზაზედ დგას ჩვენი ეკლესიაო და ბოლოს თვით ერსაც გადაჰკრამს. რასაკვირველია, მე ნება არა მაქვს ან სამღვდელოების მხრივ და ან ერის მხრივ ხმა ამოვიღო, — ეს თვით სამღვდელოებამ იცის რომელსაც ერი აბარია და ერმა, რომელსაც ჰმწყსის სამღვდელოება.—ისინი თვით გასცემენ შესაფერ პასუხს. მე მხოლოდ შევეხები თბილისის მონასტერს და ამავე მონასტრის ძმებს, რომელთაც სთხრის და აძაგებს ვინმე ნიღაბ აფარებული „რამპოლა“. სიტყვა სიტყვით მოვიყვან მის სიტყვებს: „...ამ მონასტერს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, არც ისტორიული, არც სარწმუნოებრივ-ზნეობრივი; არ არის იგი მაუწყებელი ქართველ დიდებულ ცხოვრებისა; არც აქვს მას მცხოვრებლებზე ზნეობრივი გავლენა და არამც თუ კეთილად არ მოქმედებენ მცხოვრებლებზე ძმანი ამა მონასტრისანი, არამედ პირ იქით აცთუნებენ მათ თვისის არა მონასტრულ ცხოვრებითა“. ბატონო რამპოლა! ერთი მიბძანეთ, რომელი მცხოვრებელი მოვიდა თქვენთან და, ან იქ, სადაც ჯერ არს საჩივლელად, რომ ძმანი მონასტრისანი აცთუნებენ მცხოვრებელთა თვისის არა მონასტრულ ცხოვრებითა, რომ მათ მაგიერ ვექილად დამდგარხართ?! ძალიან შემცდარი ბრძანდებით ბ. რამპოლა მაგ აზრზე და ვერ აცნობთ თქვენ მათ! იმათ არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ მცხოვრებლებთან პირ იქით ვინც მოდის ყველასთან სიყვარულზრდილობიანათ მოქცევა, პატივი და სიწყნარე, ეკკლესიაში თვის დროზედ წირვა და ლოცვა. ამასაც ვიტყვი მოურიდებლად, რომ დღეს ჩვენ საქართვნლოში არც ერთ მონასტერში არ არის ისეთი განწყობილი კითხვა და გალობა, როგორც აქ, მაგრამ თქვენ ვერ მიმხვდარხართ, რომ სარწმუნოება შეირყა და ის სიყვარული ეკკლესიისა, სამღვდელოებისა და ბერ მონაზნობისა, რომელიც წინად ჰქონდა ხალხს, დღეს აღარ აქვს—დაეკარგა. ამ მონასტერს, რომ ისტორიული მნიშვნელობა არა ჰქონდეს და არც მაუწყებელი იყოს ქართველთ წარსულ დიდებულ ცხოვრებისა, როგორც თქვენ ამას ბრძანებთ, და გსურდეთ ამ მონასტრის აღგვა პირისაგან ქვეყნისა, ბერები რა შუაში არიან?! თქვენის აზრით დღევანდელ აშენებულ ეკკლესია-მონასტრებს, რომელთაც ჯერ-ჯერობით ისტორიული მნიშვნელობა არ ექმნებათ, მაშ წაუკიდე ცეცხლი და სულ გადასწვი. ბრძანებთ, ბ ნო რამპოლა, „აქ სამონასტრო ადგილი არაა“-ო. დიახ, თქვენისთანა ურწმუნო კაცისთვის, არსადაც არ არის საჭერო, რომ მონასტერი და ბერები

იყვნენ. „აქ ქალაქია და როგორ შეიძლება ბერებმა თვისი დანიშნულება ნათლად შეასრულონ, რომ სიამენი ამა ქვეყნისანი მათ არ იზიდავდნენ და არ იმორჩილებდნენ“-ო. ბ-ნო რამპოლა, ერთი მიბძანეთ, თქვენ თუ არა ხართ ბერი ნუ თუ ნება გაქვთ პირნათლად არ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, როგორც ერის კაცმა, და ან თუ სიამესა ამა ქვეყნისას ემორჩილებოდეთ? პატიოსნება, ზრდილობა, სვინდისი, ლოცვა, ვედრება ღვთისადმი და ყოველივე კეთილი საქმე განა მარტო ბერს მოეთხოვება და სხვას არავის? მაგრამ არამც თუ ქალაქში, რომ უდაბნოდ წავიდნენ ბერები და იქ იწყონ მოღვაწეობა კლდეებში, მაინც კიდევ გეჯავრებათ და მაშინ კიდევ ეტყვით ეშმაკები ხომ არა ხართო, რომ კლდე ღრეში შემსხდარხართო! ბატონო რამპოლა, თქვენა ბრძანებთ, რომ ამ მონასტერის სამღვდელო შკოლად გადაკეთება განიზრახა ერთმა პირმა, აღძრა საქმე სადაც ჯერ იყო, გარნა ისევ ქართველებმა უარჰყვეს მონასტრის გაუქმება და მის მაგიერ სამღვდელო შკოლის დაარსება. საინტერესოა ვიცოდეთ ეს პირი ვინ იყო ოსმალელი თუ ყიზილბაში, რომ განიზრახა სამღვდელო სკოლად გადაკეთება მონასტრისა და ან ეს ქართველები ვიღა არიან, რომ წინააღუდგენ. როგორც სჩანს, ეს პირი არა ქართველი ყოფილა და ნეტავი ვის მოუწადინია ეს კეთილი საქმე ჩვენთვის? ერთი გკითხავთ თქვენ, ბ-ნო რამპოლა, განა სამღვდელო შკოლას მონასტერი დაუშლის რასმე?—განა წინააღმდეგია, რომ მონასტერში იყოს ამისთანა შკოლა? თქვენ თუ გესმით, ის პირნი, რომელნიც სამღვდელოთ გინდათ აღზარდოთ, უნდა ეკკლესიას, მონასტერს დაუახლოვოთ, თუ დაშოროთ და დაუნგრიოთ კიდეც! განა ძველად მონასტრებში არ იყო შკოლები, სადაც იზდებოდენ ქართველი სამღვდელონი და საერონი, რომელნიც აღჭურვილი იყვნენ სწავლა-ზნეობით? რამპოლა ბრძანებს მთავრობა მღვდლებად ნება უნებურად უვიც კაცებს ამწესებსო. ერთი თქვენა გკითხავთ, რატომ ნასწავლნი სემენარიელნი არ მიდიან მღვდლებად? რა არის მიზეზი, რომ რუსეთში სემენარია-დასრულებულნი არამც თუ მღვდლებად, არამედ მედავითნეთაც მიდიან და ისიც იმ პირობით, რომ სამ წლამდის მათ ნება არა აქვთ მღვედლობა თხოვონ. იქ ზოგი მედავითნე აიღებს წელიწადში ას და ორას თუმანს, მვენში კი ორას თუმანს ვერც ქალაქის დეკანოზი აიღებს და სოფლებში ხომ შიმშილით იხოცებიან და ესაა მიზეზი, რომ აღარ მიდიან სემენარიელნი მღვდლებად და ისევ სხვა სამსახურს ეძებენ. ბ. რამპოლა იბრალებს მთავრობას, რომ ამისთანა შკოლას ხელმოკლეობის გამო ვერ დაგვიარსებს, მაშასადამე ჩვენ ადგილობრივ უნდა მოვახერხოთ რამე და აი სწორეთ სახელდახელო იქნება ამ საქმისთვის თბილისის მონასტერში. ბ. რამპოლას ჰგონია თითქოს ეს მონასტერი კი მთავრობის ხელში არ იყოს და თვის ნებაზედ გინდ შკოლად გადააქცევს და გინდ თეატრად და თუნდ თავის ხელშიაც იყოს განა რა შემოსავალი აქვს ამ მონასტერს, რომ იმითი შკოლა დაიარსოს. ის არ იცის და არა აქვს შეგნებული რამპოლას, რომ თვით ის ოთხი ბერი, რომელთათვის კიდეც შეშურებია თვისი რჩენა მონასტრის ფულით, დღიურად ძლივს გამოდიან. თუ არა და რომელმა დაგიშალათ, ბატონო, აქ შკოლის გახსნა? გამონახეთ წყარო მის შესანახად და მობძანდით ადგილი ბევრი გვაქვს და აღზარდეთ სამღვდელონი მონასტერში ისე, როგორათაც იზრდებოდნენ ძველად მონასტრებში და ბოლოს გადიოდნენ ღვთის მოყვარულნი და სამღვთო წერილის ზედმიწევნით მცნდნენი და ემსახურებოდნენ ერს და ჰქადაგებდნენ შიშს ღვთისას და სიყვარულს კაცისას. წასული წლის დეკემბრის ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებაზედ თვით ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არხიმანდრიტმა დოსითეოსმა კითხვა შეიტანა, რომ ამ მონასტერში გაეხსნათ სადიაჩოქო შკოლა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა და არც კი მოჰგონებიათ.

აუარებელი ფული შრომა, მეცადინეობა იხარჯება სამღვდელოებისა სემენარიაზედ და სასულიერო სასწავლებლებზედ (უჩილიშ-

ჩებზედ), რომ იქ უნდა იზრდებოდნენ ჩვენი სამღვდელონი, მაგრამ არ იზრდებიან და ეხლა მოჰგუნებებია ბ. რამპოლას, რომ დააქციოს თბილისის მონასტერი და იქ გახსნას სამღვდელო შკოლა. ნეტავი ვიცოდე, სემენარია რაღა საჭიროა და რატომ სხვა გეგმის შკოლად მაინც არ გადააქცევენ მას. განა რა არის აქ მიზეზი თუ არა ის, რომ არა სურს მას, რამპოლას, კერძოდ ეს მონასტერი და სძულს ბერებიც. დასასრულ ამას გეტყვი, ბ. რამპოლა, რომ ნიღბი აგეხსნათ თქვენთვის და მათთვისაც ვინც ასეთი გულშემატკივარნი გამოჩენილან სამღვდელოების შკოლისათვის და ბერების ცხოვრებისათვის, უფრო კარგებს და დაწვრილებით მოგახსენებდით ყოველივეს, მაგრამ ეხლა არ ვიცი ვისთან მაქვს საქმე და ესეც კმარა.

გასაკვირველია, ღმერთმანი, რომ ახალი სენი ეწვიი ქართველობას, ეხლა ძალიან იჩინა თავი ამ ბოროტებამ, გაზეთში ერთი ერთმანეთს ლანძღავენ, კერძოდ ყველას ჰგონია ცამდის მართალი იყოს და შეუცთომელი, სადაც ერთიანი თქმა უნდა, იქ არაფერს არ ამბობენ, მხარს არ უჭერენ ვინც კარგს რასმე ამბობს და ამ გვარის ქვეშეგრძნობით საზოგადო საქმეს აფუჭაბენ. დიახ, მეც გეთანხმებით, რომ ჩვენს საქმეს მუდამ ჩვენვე ვაფუჭებთ.

ულირსი ბერი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ვამზადებ
სამღვდელო და საღიაკონო
საგნებში,
აგრეთვე სამასწ ვლებლო
ეგზამენის ასაღებად.
ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17

დაიბეჭდა
შემდეგი ბლანკები:
კლირუვის უწყებები
ახალი ფორმისა
თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.
კანტრაკტი
საეკლესიო მამულების იჯარით გასაცემად
სავაჭრო ფურცელი
(Торгов. листъ)
ჯილდოს ფურცელი
(Наградн. листъ).
მოიკითხეთ
იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობის"
სტამბაში.

სტამბა
იმერეთის წმ. გიორგის სარწ.-განმანათ.
„ძმობისა"
ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირაშჩევის სახლში, გუბერნატ. კანცელიარიის ქვეშ,
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს
სულ-მისაწვდომ ფასებში
ასრულებს სუფთად ბ თავის დროზე.

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства" Тифлисская, домъ Кирищева